

შპს „ოქროს ლომი“
ფინანსური ანგარიშგება
აუდიტის დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2017 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	7
ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ.....	8
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ.....	9
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ.....	10
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
3. ამონაგები.....	15
4. ხარჯები.....	15
5. მოგება განაწილებამდე.....	16
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	16
8. ძირითადი საშუალებები.....	17
9. არამატერიალური აქტივები.....	17
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	17
11. საგადასახადო ვალდებულებები.....	18
12. კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება.....	18
13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	19
მმართველობის ანგარიშგება	
1. შესავალი.....	20
2. წარდგინება დირექტორისაგან.....	20
3. კომპანიის შესახებ.....	21
4. კომპანიის საქმიანობა.....	21
5. შიდა სტრუქტურა.....	22
6. სამომავლო გეგმები.....	22
7. რისკ-ფაქტორები.....	22



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ოქროს ლომი“-ს

დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ოქროს ლომი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) შესაბამისად ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



სხვა ინფორმაცია

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია კომპანიის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების



შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.



- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ზაზა გრიგალაშვილი


შპს „აუდიტორული კომპანია GRB“

25 სექტემბერი 2018 წელი

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებად საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ზაზა გრიგალაშვილი



შპს „აუდიტორული კომპანია GRB“

25 სექტემბერი 2018 წელი



შპს "ოქროს ლომი"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4142308	5929925	2201511
მიმდინარე მარაგები	57937	109354	77488
სავაჭრო მოთხოვნები	(40)	(20)	
სხვა საგადასახადო აქტივი		617107	524079
სხვა არამატერიალური აქტივები	36629	43093	4966
ძირითადი საშუალებები	604357	768641	880066
სულ აქტივები	4841192	7468100	3688110
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	559914	391806	463516
სხვა ფინანსური ვალდებულებები	90071	60729	165459
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	15774		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			51561
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		411903	410914
სულ ვალდებულებები	665759	864439	1091451
კაპიტალი			14446
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4175433	6603661	2582213
სულ საკუთარი კაპიტალი	4175433	6603661	2596659
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4841192	7468100	3688110

შპს "ოქროს ლომი"-ს

დირექტორი:

თოლგა აიგუნ

მთ. ბუღალტერი:

ზაზა ზაქარაძე

შპს "ოქროს ლომი"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4142308	5929925	2201511
მიმდინარე მარაგები	57937	109354	77488
სავაჭრო მოთხოვნები	(40)	(20)	
სხვა საგადასახადო აქტივი		617107	524079
სხვა არამატერიალური აქტივები	36629	43093	4966
ძირითადი საშუალებები	604357	768641	880066
სულ აქტივები	4841192	7468100	3688110
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	559914	391806	463516
სხვა ფინანსური ვალდებულებები	90071	60729	165459
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	15774		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			51561
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		411903	410914
სულ ვალდებულებები	665759	864439	1091451
კაპიტალი			14446
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4175433	6603661	2582213
სულ საკუთარი კაპიტალი	4175433	6603661	2596659
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4841192	7468100	3688110

შპს "ოქროს ლომი"-ს

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს "ოქროს ლომი"
ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2017	31.12.2016
ამონაგები	20478061	25229735
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(2399998)	(2620214)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(4994472)	(5595478)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(1862592)	(2036854)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(27561)	(42646)
საკონსულტაციო ხარჯი	(52145)	(47087)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(3835128)	(3320484)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(2699)	(31605)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(407074)	(435460)
იჯარის ხარჯი	(2616974)	(3477187)
ცვეთა და ამორტიზაცია	(167831)	(183769)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2157635)	(1848393)
საოპერაციო მოგება	1953954	5590559
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(5631)	(643)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	12855	3482
სხვა ფინანსური შემოსავალი	6830	0
სხვა ფინანსური ხარჯი	0	(1739)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	24816	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1992824	5591659
მოგების გადასახადი	0	(292048)
მოგება/(ზარალი)	1992824	5299611
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1992824	5299611

შპს "ოქროს ლომი"-ს

დირექტორი:

თოლგა აიგუნ

მთ. ბუღალტერი:

ზაზა ზაქარაძე

შპს "ოქროს ლომი"
ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2017	31.12.2016
ამონაგები	20478061	25229735
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(2399998)	(2620214)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(4994472)	(5595478)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(1862592)	(2036854)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(27561)	(42646)
საკონსულტაციო ხარჯი	(52145)	(47087)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(3835128)	(3320484)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(2699)	(31605)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(407074)	(435460)
იჯარის ხარჯი	(2616974)	(3477187)
ცვეთა და ამორტიზაცია	(167831)	(183769)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2157635)	(1848393)
საოპერაციო მოგება	1953954	5590559
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(5631)	(643)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	12855	3482
სხვა ფინანსური შემოსავალი	6830	0
სხვა ფინანსური ხარჯი	0	(1739)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	24816	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1992824	5591659
მოგების გადასახადი	0	(292048)
მოგება/(ზარალი)	1992824	5299611
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1992824	5299611

შპს "ოქროს ლომი"-ს

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



თოლგა აიგუნ

ზაზა ზაქარაძე

შპს "ოქროს ლომი"
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2015	14446	2582213	2596659
მოგება/(ზარალი)		5299611	5299611
დივიდენდის გამოცხადება		(1278164)	(1278164)
კაპიტალის გაზრდა	(14446)		(14446)
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2016	0	6603661	6603661
მოგება/(ზარალი)		1992824	1992824
დივიდენდის გამოცხადება		(4421053)	(4421053)
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2017	0	4175433	4175433

შპს "ოქროს ლომი"-ს

დირექტორი:

თოლგა აიგუნ

მთ. ბუღალტერი:

ზაზა ზაქარაძე

შპს "ოქროს ლომი"
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2015	14446	2582213	2596659
მოგება/(ზარალი)		5299611	5299611
დივიდენდის გამოცხადება		(1278164)	(1278164)
კაპიტალის გაზრდა	(14446)		(14446)
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2016	0	6603661	6603661
მოგება/(ზარალი)		1992824	1992824
დივიდენდის გამოცხადება		(4421053)	(4421053)
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2017	0	4175433	4175433

შპს "ოქროს ლომი"-ს

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს "ოქროს ლომი"
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მიმდინარე წლის მოგება	1992824	5591659
არაფულადი ფინანსური დანახარჯები	5631	643
მოგების გადასახადის არაფულადი ხარჯი	0	(292048)
ძირითადი საშუალებების ცვეთა (+)	161367	179260
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	6464	4509
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა) (+/-)	20	20
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა) (+/-)	51416	(31866)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	197449	(176031)
გადასახადები	632881	(93028)
პროცენტი	0	(409)
დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებების ზრდა	(411903)	989
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2636150	5183700

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	114109	66503
მანქანა-დანადგარების შეძენა	(116823)	(177618)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2714)	(111115)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

საწესდებო კაპიტალის შევსება	0	(14446)
ნასესხები სახსრების გადახდა	0	(51561)
გაცემული დივიდენდები	(4421053)	(1278164)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4421053)	(1344171)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(1787617)	3728414
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	5929925	2201511
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	4142308	5929925

შპს "ოქროს ლომი"-ს

დირექტორი: თოლგა აიგუნ

მთ. ბუღალტერი: ზაზა ზაქარაძე

შპს "ოქროს ლომი"
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მიმდინარე წლის მოგება	1992824	5591659
არაფულადი ფინანსური დანახარჯები	5631	643
მოგების გადასახადის არაფულადი ხარჯი	0	(292048)
ძირითადი საშუალებების ცვეთა (+)	161367	179260
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	6464	4509
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა) (+/-)	20	20
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა) (+/-)	51416	(31866)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	197449	(176031)
გადასახადები	632881	(93028)
პროცენტი	0	(409)
დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებების ზრდა	(411903)	989
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2636150	5183700

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	114109	66503
მანქანა-დანადგარების შეძენა	(116823)	(177618)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2714)	(111115)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

საწესდებო კაპიტალის შევსება	0	(14446)
ნასესხები სახსრების გადახდა	0	(51561)
გაცემული დივიდენდები	(4421053)	(1278164)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4421053)	(1344171)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(1787617)	3728414
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	5929925	2201511
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	4142308	5929925

შპს "ოქროს ლომი"-ს

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



თოლოგა აიგუნ

ზაზა ზაქარაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოქროს ლომი“, საიდენტიფიკაციო ნომერი 445459316, დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: ქ. ბათუმი შავშეთის ქ. N2/4. მისი ძირითადი საქმიანობაა აზარტული თამაშობების ორგანიზება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შ.პ.ს. „ოქროს ლომი“-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულად ერთეულში - ქართული ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ამონაგების აღიარება

ორგანიზაციაში შემოსავლების აღრიცხვა ხდება არსებული სეგმენტებიდან მიღებული შიდა საბილინგო ინფორმაციის საფუძველზე ყოველდღიურად, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის ფორმირება ბიზნესის სპეციფიურობიდან გამომდინარე არ ემთხვევა გეოგრაფიულ დღეს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გაიცა. გასაცემ დივიდენდებზე შეზღუდვა არ არსებობს და მოგების გადასახადის დარიცხვა ხდება გაცემული დივიდენდების ოდენობის გათვალისწინებით კანონის მოთხოვნის შესაბამისად. ორგანიზაციის შემოსავლების არსებით წილს შეადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული შემოსავლები და დივიდენდები პირველ რიგში გაიცემა ამ მოგებიდან პროპორციის გათვალისწინებლად. საქართველოს საგადასახადო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საწარმოს მფლობელისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. აქტივები, რომლებიც შინაარსით წარმოადგენენ ძირითად საშუალებებს, მათი გამოყენების ვადა არსებითია, მაგრამ ღირებულება შეადგენს 1000 ლარზე ნაკლებს, გამოყენების ფორმის მიუხედავად ბალანსზე აისახება ძირითად საშუალებების ცალკე ანგარიშზე.

ყველა ძირითადი საშუალებების წლიური ცვეთის ნორმა არის 20%. ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით ხდება ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვა აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის თანხის აკუმულირება ხდება ცალკე საბალანსო ანგარიშებზე და არ ხდება აქტივების ღირებულების პირდაპირი შემცირება.

თუ არსებობს რამე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისგან. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა განსაზღვრულია 15%-ით, ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით ძირითადი საშუალებების ცვეთის პრინციპების მსგავსად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

იჯარა

სადაც მეიჯარე საწარმო იჯარისას პრაქტიკულად არ გადასცემს ყველა რისკს და სარგებელს საკუთრების გადაცემის უფლებასთან დაკავშირებით. მოიჯარის მიერ, სრული საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგება-ზარალში წრფივი დარიცხვის მეთოდით მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე. იჯარა არის შეუქცევადი, რომლის დროსაც მოიჯარე დაკავშირებულია აქტივის ფლობასთან და მომავალ პირობებთან, რომლის მიხედვითაც მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს იჯარის ხანგრძლივობა მომავალი გადასახდელების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, როდესაც იჯარის დაწყებისას მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ვარიანტს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

არასავაჭრო პროფილის მიუხედავად სასაქონლო-მატერიალური მარაგების, რომლებიც გამოიყენება საქმიანობის პროცესში, ასახვა ხდება ბალანსზე შესაბამის ანგარიშზე მისი გამოყენების ფორმის მიხედვით (ძირითადი სახეებია საწვავი და საკვები პროდუქტები). ყოველდღიურად ხდება მათი გახარჯვა-გამოყენების აღრიცხვა, თუმცა გახარჯული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ანგარიშიდან ჩამოიწერება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, კორექტირების შემდგომ საშუალო შეწონილის მეთოდით (ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას). სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშებში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი სამართლიანი კომპენსაციის ოდენობით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ქვემოთ მოცემულია სეზ-ის ოფიციალური სავალუტო კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 31 დეკემბერი,

	2017 წ.	2016 წ.
ლარი/აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7940
ლარი/თურქული ლირა	0.6874	0.7504

ფინანსური ანგარიშგებები (მოცემულია ლარში)

3. ამონაგები

შემოსავლები	2017 წელი
შემოსავლები სამორინედან	6,923,065
შემოსავლები სლოტებიდან	12,532,103
სხვა საოპერაციო შემოსავლები	1,022,894
არასაოპერაციო შემოსავლები	44,501
სულ:	20,522,563

4. ხარჯები

დანახარჯები	2017 წელი
საოპერაციო ხარჯები	18,524,107
არასაოპერაციო ხარჯები	5,631
სულ ხარჯები:	18,529,739

5. მოგება განაწილებამდე

შედეგი	2017 წელი
სულ შემოსულობა	20,522,563
სულ ხარჯები	18,529,739
სულ მოგება:	1,992,824

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შინაარსი	31/12/2017	31/12/2016
სავაჭრო მოთხოვნები	(40)	(20)
სხვა მოთხოვნები	0	0
სულ:	(40)	(20)

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შინაარსი	31/12/2017	31/12/2016
საწვავი	0	7,418
საკვები პროდუქტები	57,937	100,664
სხვა მატერიალური ფასეულობები	0	1,272
სულ:	57,937	109,354

8. ძირითადი საშუალებები

შინაარსი	31/12/2017 წელი
ძირითადი საშუალებების საწყისი ღირებულება	768,641
შემოსული ძირითადი საშუალებები	116823
გასული ძირითადი საშუალებები	(119,740)
წლიური ცვეტა	(161,367)
საბოლოო საბალანსო ღირებულება	604,357

9. არამატერიალური აქტივები

შინაარსი	31/12/2017 წელი
არამატერიალური აქტივების საწყისი ღირებულება	43,094
შემოსული არამატერიალური აქტივები	0
გასული არამატერიალური აქტივები	(0)
წლიური ცვეტა	(6,464)
საბოლოო საბალანსო ღირებულება	36,630

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31/12/2017	31/12/2016
სავაჭრო ვალდებულებები	559,914	391,806
მიღებული ავანსები	90,071	60,729
ვალდებულებები პერსონალის მიმართ		411,904
სულ:	649,985	864,439

11. საგადასახადო ვალდებულებები

შინაარსი	31/12/2017	31/12/2016
საგადასახადო ვალდებულებები	15,774	(617,107)
სულ:	15,774	(617,107)

12. კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება

შინაარსი	31/12/2017	31/12/2016
დამფუძნებლის (საწესდებო) კაპიტალი	0	0
გაუნაწილებელი (დაგროვებული) მოგება	4,175,433	6,603,661
სულ:	4,175,433	6,603,661

მათ შორის:

საანგარიშო პერიოდის მოგება (დაბეგვრამდე)	1,992,824	5,591,651
მოგების გადასახადი	0	292,048
განაწილებული დივიდენდი	4,421,053	1,278,164

კაპიტალის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ სლოტ-აპარატების შემოსავლები განთავისუფლებულია მოგების გადასახადის გადახდისაგან და შესაბამისად 2016 წელს მოგების გადასახადი გაანგარიშებული იქნა შემოსავლების პროპორციის შესაბამისად, ხოლო 2017 წელს არ დადგა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება, რადგან პირველ რიგში განაწილებული იქნა მოგების გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებული სლოტ აპარატების სეგმენტში ფორმირებული დივიდენდი.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

შინაარსი	31/12/2017	31/12/2016
ფულადი სახსრები სალაროში	4,129,387	5,309,539
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	12,921	620,385
სულ:	4,142,308	5,929,925

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 1 აგვისტოს.

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ოქროს ლომის“ მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

3. კომპანიის შესახებ

შპს „ოქროს ლომი“ დაფუძნდა 2015 წლის 9 მარტს. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმში შავშეთის 2/4. მისი 100%-იანი წილის მფლობელია იასინ ილმაზ (პ/ნ 19358616740 პას. ნომერი U 04266548). ამჟამად კომპანიის დირექტორია თოლგა აიგუნ.

4. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი. კერძოდ სამორინესა და სათამაშო აპარატების საქმიანობის წარმოება. საქმიანობას ეწევა ქ. ბათუმში, შავშეთის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ლეოგრანდში“.

კომპანია ფლობს სამორინეს მოწყობის და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვებს 2015 წლის ივლისიდან.

კომპანია მიმართულია საქართველოში არსებული სათამაშო ბიზნესის სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიისა და განსხვავებული მომსახურების სფეროს ხარისხის განვითარებაზე. კომპანიას შეუძლია სამორინეში შემოსულ კლიენტს შეთავაზოს განსხვავებული ცოცხალი თამაშის მაგიდებისა და სათამაშო აპარატების ფართო არჩევანი. კომპანიის ძირითადი სამოქმედო ბაზარი არის თურქეთის რესპუბლიკა საიდანაც ხდება შესაბამისი წახალისებისა და პროდუქტების შეთავაზებით კლიენტების მოზიდვა. აქედან გამომდინარე თურქეთის რესპუბლიკაში 2017 წელს შექმნილმა არასტაბილურმა ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის მდგომარეობაზე. კერძოდ შეზღუდული იყო საზღვრის კვეთა, რის გამოც ვერ ახერხებდა კლიენტები სამორინეში თამაშს.

ადგილობრივ ბაზარზე წარმოადგენს კონკურენტულ გარემოს, სადაც კომპანია ცდილობს შექმნას საკუთარი პროდუქტი, რითაც მოიზიდავს კლიენტებს. კერძოდ კლიენტების მოსაზიდად კომპანიის მიერ ხდება სხვადასხვა საკონცერტო წარმოდგენების გამართვა, წამახალისებელი გათამაშებები, აგრეთვე ხდება კლიენტებზე ტრანსპორტირების, დაბინავებისა და კვების უზრუნველყოფის შეთავაზება.

შპს „ოქროს ლომი“

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის მიმღებში რეგისტრირებული მომხმარებლების (კლიენტების) რეგისტრაციის ყოველდღიური მონაცემების მიხედვით 2017 წელს კომპანიას დღიურად საშუალოდ ყავდა 300 მომხმარებელი (კლიენტი).

კომპანიას ძირითადად გააჩნია მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა სხვადასხვა საკვები თუ მომსახურების პროდუქტების შეძენისას.

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია წლის ბოლოს განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა. კერძოდ მომხდარი ხანძრის გამო მოხდა კომპანიის საქმიანობის შეჩერება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც კომპანიის რეპუტაციას ასევე ფინანსურ მდგომარეობას. აღნიშნულმა მდგომარეობამ უარყოფითი გავლენა იქონია როგორც მომხმარებლების რაოდენობაზე ასევე კომპანიის ბაზარზე არსებულ პოზიციაზე, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა 2017 წლის შემოსავლები 2016 წელთან შედარებით.

5. შიდა სტრუქტურა

სამორინეს ყავს გენერალური მენეჯერი, რომელიც ამავდროულად არის კომპანიის დირექტორი. გენერალურ მენეჯერზე სტრუქტურულად დამოკიდებული არის შემდეგი დანაყოფები: ცოცხალი თამაშების, სათამაშო აპარატების, მიმღები, ფინანსური, მარკეტინგის, კამერების, ტრანსპორტირების უზრუნველყოფის, ბარის, ტექნიკური, დასუფთავების, დაცვის და სამზარეულოს დეპარტამენტები. თითოეულ დეპარტამენტს ყავს თავისი ხელმძღვანელი რომელიც ემორჩილება გენერალურ მენეჯერს.

6. სამომავლო გეგმები

კომპანია საქმიანობის განვითარების მიზნით გეგმავს დამატებითი ბაზრის ათვისებას, კერძოდ მარკეტინგის დეპარტამენტის მიერ ხდება ირანისა და ისრაელის ბაზარზე მოსახვედრად აქტიური ღონისძიებების გატარება.

7. რისკ-ფაქტორები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამოიცილოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ექვსის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა

შპს „ოქროს ლომი“

მმართველობის ანგარიშგება

და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს „ოქროს ლომი“-ს

დირექტორი:

თოლგა აიგუნ

შპს „ოქროს ლომი“

მმართველობის ანგარიშგება

და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს „ოქროს ლომი“-ს

დირექტორი:

თოლგა აიგუნ

